ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1618025

ნომერი: AR1266414

თარიღი : 17.11.2014

გაცემის თარიღი : 04.12.2014

გაცნობის თარიღი : 05.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოროდინოს , N 20 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის – არსებული შენობა–ნაგებობა N2/1–ის სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - ისანი), ბოროდინოს ქ. N20–ში, შ.პ.ს. "კინგი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა–ნაგებობა N2/1–ის სადემონტაჟო სამუშოების განხორციელებას.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "კინგი"–ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა; რეგისტრაციის N882014608224 , 12.11.2014 წ. საკადასტრო კოდი N01.17.01.084.018; შ.პ.ს. "კინგი"–ს დირექტორის, თ. კაცობაშვილის მინდობილობა; ი/მ ალექსანდრე მჭედლიშვილი – "ოსტატი"–ს კონსტრუქტორის, ა. მჭედლიშვილის კონსტრუქციული დასკვნა; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, ანაზომი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი - ისანი), ბოროდინოს ქ. N20–ში, შ.პ.ს. "კინგი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა–ნაგებობა N2/1–ის სადემონტაჟო სამუშოების განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.